შაბათი, 1 დეკემბ. 1907 წ.

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

# ისარი

წელიწადი პირველი № 265

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ დიდი წერილები და გამოხმაურებები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

**მარიამ ივანეს ასული, ნინა თედორეს ასული, ივანე და გიორგი ალექსის ძენი ჩელიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას:—პირველი—ძვირფას ქმრისა, მეორე—მამამთილის, ხოლო მესამე და მეოთხე—დაუვიწყარ მამის

## ალექსი სერგოს ძის ჩელიძისას.

პანაშვიდი შაბათს, 1 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 5 საათზე, თავის სახლში. კვირას, 2 ქრისტეშობისთვეს, დილის 10 საათზე მიცვალებულს გამოასვენებენ ორთაჭალიდან საკუთარ სახლიდან (ვორონცოვის ქუჩა, № 88) ბერძნის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, იქიდან წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დასაკრძალავად. (2—464—1)

**დარია ალექსის ასული და პოდპოლკოვნიკი მიხეილ აბრამის ძე უთნელოვები** უღრმესს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მამის, მეორე—სიმამრის

## ალექსი სერგოს ძის ჩელიძისას.

პანაშვიდი შაბათს, 1 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 5 საათზე, ორთაჭალაში, თავის სახლში. დაკრძალვა კვირას, 2 ქრისტეშობისთვეს, დილის 10 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ ორთაჭალიდან საკუთარი სახლიდან (ვორონცოვის ქუჩა, № 88), წაასვენებენ ბერძნის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, იქიდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—464—1)

**ივანე ნიკოლოზის ძე, ნიკოლოზ ივანეს ძე, მარიამ გიორგის ასული ბარამიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ შვილის, მეორე—ძმის, ხოლო მესამე—მაზლის

## რომანოზ ივანეს ძის ბარამიძისას.

პანაშვიდი შაბათს 1 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა კვირას, 2 დეკემბერს. დილის $9^1/_2$ საათზე გამოასვენებენ დიდუბეში გორის ქ. სახ. მაიერისა დიდუბის ეკლესიაში, დაკრძალვენ კუკიის სასაფლაოზე (1—462—1)

**ეკატერინე ავეტიქას ასული, გრიგორ სოლომონის ძე და ელისაბედ სოლომონის ასული ვარნაზიანცები, ნინო სოლომონის ასული და გრიგორ იაკულის ძე ციციკიანცები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 დეკემბერს, კუკიის თანდოიანის ეკლესიაში დილის 10 საათზე, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპულის გაზეთ „სინათლის“ რედაქტორად ნამყოფის

## არშაკ სოლომონის ძის ვარნაზიანცის

**(ცაფცას ზანგის)**

სულის მოსახსენიებლად. (1—1)

**მედიცინის ექიმი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 დეკემბერს, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

## ტატიანა გიორგის ასულის ნაზაროვის

სულის მოსახსენებლად.

## დილით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში. დილით

კვირას, 2 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**იაფ ფასიანი წარმოდგენა**

**ნაშუადღევის 12 საათზედ**

**პირველად ახალი პიესა, რომელმაც დიდი ყურადღება დაიმსახურა სატახტო სცენებზე**

## მეფე

პიესა 4 მოქმედებად იუშკევიჩისა, თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ელ. ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე

მორიგი წევრი გამგეობისა **მ. ჯილოხანიძე.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

## ძმ. ნიკიტინების ცირკი.



1 დეკემბერს, 1907 წელს სტახტო ქალიქებსავით გაიმართება **„ჩვენი შაბათები“**. სპეციალური წარმოდგენები ინტელიგენციისთვის. ამ დღისთვის დაინიშნება **დებიუტები** და **ახალი სცენები**. დებიუტი ესპანელ ლამაზ ქალის **კარდინალისა**. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასასრულ **პანტომიმა არკადია**. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. დაწვრილებით პროგრამებში. (0—ხალ.—2)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

შაბათს, 1 დეკემბერს, ტენორის კოპპოლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**„ბალმასკარადი“.**

მუსიკა ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი კორსაკოვა-ლიუბინსკაია, მარკოვა, ჩარდოკლი; ბ-ნნი აკიმოვი, გრინევი, დე-რობერტი, კოპპოლა, პავლოვსკი, პრავდინი და სხვ.

კაპელმეისტერი: **გოლინკინი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** 2 დეკემბერს დილით ქართული წარმოდგენა, საღამოთი მეორედ—«ანნა კარენინა». ახლო ძომავალში სიბირიაკოვის ბენეფისი—„დემონი“. მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა ზრდაშ». (0—13)

ექიმი
**ი. ი. გოკიელი**

სპეციალისტი: **ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (25—406—19)

**ქ. თელავში.**
ექიმი
**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად ძმობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—16)

**ქ. ქუთაისში**
**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—6—23)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25. (0—236)

ექიმი
**ი. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ზარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი
**ს. ი. კერესელიძე**

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში, (15—6—2)

ექიმი
**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების.** სპეციალური ექიმი **კუჭის და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავჭანიძისა (25—წლ.

**ქუთაისში**
კბილის ექიმი ქალი
**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

**ქ. ქუთაისში**
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდით. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—დ.—24)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—19)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**
**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—30)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—345—23)

**კბილის ექიმი**
**ბალარჯაშვილი მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—14)

**მედიცინის დოქტორი**
**მ. ი. მურადოვი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—12)

**ქ. ქუთაისში**
**ექიმი ბადრიძე**

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5 ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—21)

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**
**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—58)

**სოფ. ანაგაში (კახეთში)**

კვირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და კვირაობით—სიღნაღიდან ივლის **ექიმი გ. დ. ფურცელაძე** და მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან 11 საათამდის მასერაძის აფთიაქში. (5—6.—4)

**წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა**

აუწყებს ამით „საზოგადოების“ წევრებს, რომ წესდების მე 11 მუხლის ძალით, ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის

## საწევრო გადასახადს,

მომავალ წლიდან ჩამოერთმევა წევრობა.

## იყიდება იაფად

კახეთში (თელავის მაზრა) სოფ. ყვარელში

| | |
|---|---|
| ტყე | 400 დესეტინა, |
| სახნავი | 40 დესეტინა, |
| საძოვარი მთაში | 50 დესეტინა. |

ქალაქ თელავიდან ორი გზა ტკეცილი მიდის. ყვარლამდის 30 ვერსია. (5—6.—3)

## ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია

სთხოვს მოსწავლეთა მშობლებსა და მზრუნველებს, მობრძანდნენ კვირას, 9 დეკემბერს, დილის 12 საათზე გიმნაზიის შენობაში გიმნაზიასთან არსებულ **მშობელთა წრის** დელეგატების ასარჩევად. თუ კრებას დაესწრო ქუთაისში მცხოვრებ მშობლებისა და მზრუნველების ერთ მესამედზე ნაკლები, კრება გადაიდება 16 დეკემბრის, დილის 12 საათისთვის. თუ მეორე კრებასაც რომელიმე კლასისაგან $1/3$-ზე ნაკლები დაესწრო, ამ კლასიდან არჩევნები არ მოხდება. (3—6.—1)

ვაჭართა ურთი-ერთ დამხმარებელ

## საზოგადოების გამგეობა

წესდების მე-34 § ის ძალით, იწვევს ბ-ნთ წევრებს **საერთო საგანგებო კრებაზედ,** რომელიც დანიშნულია 2 დეკემბერს დილის 12 საათისთვის „ტფილისის ლომბარდის“ სადგომში

**განსახილველი საგნები:**

1. შემოსავლის და გასავლის აღრიცხვა და სარევიზიო კომისიის მოხსენება;
2. კომისიის არჩევა შემოწირულთა შესაგროვებლად;
3. მიმდინარე საქმეები.

**შენიშვნა:** საერთო კრებაზედ შესასვლელად საზოგადოების წევრებმა უნდა წარადგინონ საწევრო ბილეთები. იმათ, რომელთაც არ ექნებათ ბილეთები—შეუძლიანთ მიიღონ კრებამდე საზოგადოების ხაზინადრის სტ. ხრ. სულხანოვისაგან, ხოლო კრების დღეს შესასვლელ კარებში. (2—462—2)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

## ტფილისი, 1 დეკემბერი.

შესრულდა ერთი თვე, რაც რუსეთის მესამე სათათბირო მუშაობს. პირველ და მეორე სახელმწიფო სათათბიროთათვის ერთი თვე სრულიად საკმარისი იყო, რომ გამორკვეულიყო სახალხო წარმომადგენლობის საზოგადო ფიზიონომია, აღნიშნულიყო ის გზა, რომლით აპირებს მსვლელობას ხელმძღვანელი უმრავლესობა, გამორკვეულიყო ურთიერთობა მთავრობისა და უმრავლესობის შორის. ამის მიზეზი ყველას ესმის. თუმცა წინანდელი საარჩევნო კანონიც არ იყო სრული და ნამდვილ დემოკრატიული, მაგრამ იმდენად რიგიანი მაინც იყო, რომ მის საფუძველზე არჩეული წარმომადგენლობა ეთანხმებოდა ხალხის უმრავლესობის სურვილებსა და მის პოლიტიკურ განწყობილებას. ეს სურვილები და განწყობილება კარგა ხანია გამოირკვა: სრული გაუქმება ავტოკრატიულის რეჟიმისა და დაარსება დემოკრატიულ უფლებრივ წესწყობილებისა და მეორე—განხორციელება სამართლიან სოციალურ რეფორმებისა. პირველ და მეორე სათათბიროთა უმრავლესობაც ამ ნიადაგსა და პოზიციაზე იდგა. პირველ ნაბიჯების გადადგმისთანავე ორთავე სათათბირომ ნათლად გამოსთქვეს ეს მისწრაფება. მათთვის, ერთის მხრით, საკამათო საგანს არ შეადგენდა, რომ თვითმპყრობელობამ ადგილი უნდა დაუთმოს დემოკრატიულს კონსტიტუციას და, მეორეს მხრით, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ დროზე აგრარულისა, საფინანსო და მუშათა შესახების კანონმდებლობის რეფორმების მოხდენა. ამის მიხედვით, ამ გარკვეულობის წყალობით მალე გამოირკვა მთავრობის დამოკიდებულებაც სათათბიროებთან.

ეხლა სხვა სურათს ვხედავთ. ეხლანდელმა სათათბირომ, პირიქით, ხელი შეუწყო იმ ხაოსისა და სიბნელის განმტკიცებას, რომელიც რუსეთში არსებობს ეს ორი წელიწადია. 3 ივნისის საარჩევნო კანონმა სათათბიროში მოიყვანა იმ პრივილეგიურ უმცირესობის წარმომადგენლობა, რომელსაც განვლილმა სარევოლიუციო ქარიშხალმა გზა-კვალი აუბნია. მცირე ნაწილი ამ წარმომადგენლობისა სრულის რესტავრაციის მომხრეა, მაგრამ ეს ნაწილი, ჯერ-ჯერობით მაინც, სათვალავში ჩასაგდები არც იმდენად არის, რამდენსაც ყვირის და ბაქი-ბუქობს. ხოლო უმრავლესობა ნამდვილ შეშინებულ ფარასა ჰგავს, რომელმაც არ იცის, რა გზას დაადგეს, რას წაეპოტინოს და რა დაჰგმოს. ერთის მხრით, გაბატონებაც უნდა, უნდა კონსტიტუციის დამკვიდრებით გააძლიეროს მმართველ, პრივილეგიურ კლასსების მდგომარეობა, მეორეს მხრით—ორგვარ შიშშია და გადაწყვეტილ პოზიციას ვერ ადგება: ბიუროკრატიულ მთავრობისაც ეშინია, რევოლიუციის ხელახლავ აფეთქებისაც. ამგვარ ყოფაშია სათათბიროს დღევანდელი „ხელმძღვანელი უმრავლესობა“ (ოქტომბრისტები და ზომიერნი) და რაღა გასაკვირველია, რომ ერთის თვის განმავლობაში მისი ფიზიონომია დანამდვილებით ვერ გამოირკვა.

ამ თვის განმავლობაში იყო ერთი მომენტი, როცა უმრავლესობის თვით-შეგნებამ თითქო იფეთქა და მთავარი საკითხი დღევანდელ რუსეთის პოლიტიკურ ვითარებისა თითქო უნდა გამორკვეულიყო მესამე სათათბიროსათვისაც. ეს იყო 13 ნოემბერს, როცა სწყდებოდა სიტყვის საპასუხო ადრესის საკითხი. უმრავლესობამ გაჰბედა მაშინ და უარყო რესტავრაციის მომხრეთა წინადადება თვით-მპყრობელობის არსებობის აღნიშვნის შესახებ ადრესში. ამისთვის მას დაუქიოდა მარცხნით მიწევა—კადეტებისაკენ. მაშინ ბევრს იმედი მიეცა, რომ ოქტომბრისტები მოახერხებენ მარცხნით

კონცენტრაციის მოხდენას და ამით საბოლოოდ გამორკვევენ თავის ნამდვილ პოზიციასო. მაგრამ საკმაო გახდა მთავრობისა და რეაქციონულ პრესის ერთი შეძახება და უმრავლესობაც იმ წამსვე ისევ მარჯვნივ გადიხარა.

მეორე მთავარი მომენტი მესამე სათათბიროს ცხოვრებაში იყო მთავრობის დეკლარაცია და იმაზე პასუხის გაცემა. აქ ხელმძღვანელ ცენტრს შეეძლო თავისი აზრი გამოეთქვა ყველა საჭირბოროტო საკითხების გამო და ესა თუ ის გარკვეული სიტყვა ეთქვა მთავრობისათვის. ამან მთელი პროგრამა წარუდგინა სათათბიროს და მტკიცედ აღიარა, რომ ძველ აპეკუნობას გასწევს, რომ ძველის გზით სიარულს ამჯობინებს; დეკლარაცია ერთის სიტყვითაც არ იხსენიებდა 17 ოქტომბრის მანიფესტს და დაპირებულ თავისუფლებათ. მოსალოდნელი იყო, რომ 17 ოქტომბრის პარტია ამხედრდებოდა თავის დროშის დასაცველად მაინც. არავინ არ მოელოდა მისგან ისეთ მამაცობას, რომ მთავრობისათვის უნდობლობა გამოეცხადებინა; მაგრამ ის მაინც იყო საფიქრებელი, რომ კამათის დროს ოქტომბრისტები აგრძნობინებდნენ მთავრობას სანამდის შეუძლიათ გაჰყვნენ ბიუროკრატიას რეაქციის გზაზე. ოქტომბრისტებმა ესეც ვერ მოახერხეს და მათი ორატორები 3 დღის კამათის დროს სასაცილოდ ქანაობდნენ მარჯვნივ და მარცხნივ. ბოლოს, როცა რეზოლიუციის მიღება იყო საჭირო, ვერც ერთი ფორმულის მიღება ვერ მოახერხეს; საქმე იქამდის მივიდა, რომ მშვიდობიან განახლების ჯგუფის ფორმულაც კი დაიწუნეს, იმიტომ რომ ფორმულა 17 ოქტომბრის მანიფესტს ახსენიებდა. ცენტრმა, ხელმძღვანელმა ცენტრმა, ვერც მთავრობის გაკიცხვა გაჰბედა, ვერც მთავრობის პოლიტიკის მოწონება, ვერც საკომპრომისო ფორმულის შემუშავება და ამრიგად მემარჯვენენიც მოიმდურა, მემარცხენეებსაც ვერ შეუთანხმდა, ვერც მთავრობას ასიამოვნა.

რასაკვირველია, ასეთი „ხელმძღვანელი" ელემენტი ვერ შეჰქმნის იმ უმრავლესობას, რომელსაც სახალხო წარმომადგენლობის როლის ასრულება შეეძლებოდეს: იგი ვერც ბრძოლას გაუწევს მთავრობას და მაინცა და მაინც ახარსაც ვერ დაუკრავს მას; იქნება ისე, უნიადაგო და უძლური, ყველასათვის გამოუსადეგარი. სრული უძლურება და საოცარი უფერულობა—აი, რა დაგვიმტკიცა მესამე სათათბირომ ამ ერთის თვის არსებობაში... მოსამზადებელი ხანა გათავდა: სათათბირო გარეგნულად მოწესრიგდა, ადრესი შეიმუშავა, მთავრობის განცხადება მიისმინა და სათანადო კომისიები აარჩია. ახლა იწყება მეორე ხანა: საკანონმდებლო საქმიანობა, მაგრამ .. „აღარც ნატვრა, აღარც იმედი": მესამე სათათბიროს „საქმიანობაც", ალბად, ისეთივე უფერული და უძლური იქნება, როგორიც იყო მისი პოლიტიკურ თვითშეგნების გამორკვევის ხანა.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

**27 ნოემბრის სხდომა**. ამ დღეს პირველად ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა. მისი სიტყვა ორ საათამდე გაგრძელდა. მან შარშანდელივით ჯერ ვრცელი ლექცია წაიკითხა ფინანსიურ მეცნიერების შესახებ, მერე განიხილა მომავალი წლის ბიუჯეტი და აღიარა, რომ რუსეთის სახელმწიფო მეურნეობა და ბიუჯეტი უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ძალიან დაქვეითდნენ, მაგრამ ამავე დროს გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ კრიზისი მალე გაივლის და რუსეთის ფინანსიური საქმე ისევ ფეხზე წამოდგებაო. თავისი სიტყვის დიდი ნაწილი მინისტრმა იმის დამტკიცებას მოანდომა, რომ ფინანსიურ საქმეში ყოვლად შეუძლებელია უცებ ძირითად ცვლილების მოხდენა, გადასახადთა სისტემის შეცვლა და შემოღება პირდაპირ გადასახადებისა. ბოლოს მან მოითხოვა მის მიერ შედგენილ ბიუჯეტის დამტკიცება და განაცხადა, რომ ყოველი გროში ისეა აწონილ-დაწონილი, რომ ბიუჯეტის შეცვლა შეუძლებელი საქმეაო.

მინისტრის შემდეგ ილაპარაკა ეროპკინმა. მან განაცხადა ოქტომბრისტთა ფრაქციის სახელით, რომ უნდა გაფართოვებულ იქმნას სათათბიროს უფლება ბიუჯეტის საქმეში (ტაში მარცხნივ), ღარიბ ხალხს დააკლდეს გადასახადი და მიემატოს ხარჯი საერო განათლებისა და მიწის მოწესრიგების საქმეებს. ეროპკინმა ისიც განაცხადა, რომ ოქტომბრისტები არავითარ ხარჯს არ დაერიდებიან, ოღონდ გააძლიერონ რუსეთის მხედრობა. ბოლოს მან ფრაქციის სახელით წაიკითხა პროექტი რეზოლიუციისა, რომელიც დაუსაბუთებლად თხოულობს მორიგ საქმეებზე გადასვლას. ჩელიშევმა მთელ რუსეთს ლოთი უწოდა და უსაყვედურა მთავრობას, რომ იგი შემოსავლის გულისთვის ხელს უწყობს ხალხის ლოთობას და ამით რამდენიმე ასეულ მილიონს შოულობს. სოციალ-დემოკრატ. ფრაქციის სახელით ილაპარაკა გეგეჭკორმა. მან ჯერ წინადადება მისცა სათათბიროს, რომ მან ბიუჯეტი არ განიხილოს და პირდაპირ უარჰყოს იგი, მაგრამ მაშინვე დაუმატა: რადგან იმედი არა გვაქვს, რომ 3 ივნისის კანონით არჩეულმა სათათბირომ გაბედოს ბიუჯეტის უარყოფა, ჩვენ შევალთ კომისიაში და იქ დავამტკიცებთ, რომ სათათბიროს არც კი უნდა განეხილა ბიუჯეტი. ერთ საათზე მეტი ილაპარაკა მილიუკოვმა. მან სთქვა, რომ ბიუჯეტის მოზრდილ ნაწილს ძირითად კანონების ძალით სათათბირო ვერც კი შეეხება, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მოვთხოვოთ სათათბიროს საბიუჯეტო უფლების გაფართოვება. ორი წელიწადია მთავრობა დაუმტკიცებელ ბიუჯეტით სარგებლობს. მან ამ ხნის განმავლობაში სათათბიროს დაუკითხავად ისესხა ერთი მილიარდი მანეთი. იგი განგებ სესხულობდა ფულს ან სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, ან მისი მოწვევის წინ. კანონის ძალით ასეთ სესხის განხილვა და შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლიან. გარდა ამისა, ჩვენ გვავალებენ ბიუჯეტის განხილვას და ვადას კი არ გვაძლევენ. ბიუჯეტის განხილვა, სულ ცოტა 5—6 თვე თხოულობს, ამიტომ ნუ დაგვემდურებიან, თუ ფინანსთა მინისტრის თხოვნა ვერ შევასრულეთ და დროზე ვერ ჩავაბარეთ დამტკიცებული ბიუჯეტი. სავსებით ვეთანხმები ოქტომბრისტების განცხადებას. 8 მარტის წესების ძალით მთელი ბიუჯეტის ნახევარი ხელიდან გამოგვეცალა, ამიტომ აუცილებლად საჭიროა ამ წესების გაუქმება. გარდა 50%-ისა ხელიდან გამოგვეცალა კიდევ 30%, რომელსაც ვერ განვიხილავთ იმიტომ, რომ ეს ხარჯი გამოწვეულია უმაღლესის ბრძანებით და სხვა-და სხვა დროებითი წესებით. ის ნაწილი ბიუჯეტისა, რომელიც ეხლა უნდა განვიხილოთ, შეუცვლელად უნდა დარჩეს, ამიტომ ფაქტიურად სათათბიროს ბიუჯეტის საქმეში საკანონმდებლო უფლება არა აქვს. გარდა ამისა, სათათბიროს არ წარმოუდგინეს სხვა და სხვა ანგარიშები, მაგალ. ანგარიშები ფინანსთა სამინისტროს კასისა, სახელმწიფო ბანკისა და საკანგებო თანხისა, რომელი 500 მილიონს უდრის. შემდეგ მილიუკოვი შეეხო ახალ ბიუჯეტის ფორმალურ მხარეს და დაამტკიცა, რომ ფინანსთა მინისტრს განგებ აურევია ერთმანეთში არაჩვეულებრივი და ჩვეულებრივი ხარჯი, რათა ამით დაეფარა ნამდვილი ჯამი დეფიციტისა, რომ მის მიერ შეტანილ ბიუჯეტს არ ეტყობა გარკვეული სისტემა და სხ. ბოლოს მან სთქვა, რომ ასეთის ხრიკებით მთავრობას სურს ევროპა და რუსეთი მოატყუოს, მაგრამ ამაოდ: მთავრობა თავის გარდა სხვას ვერავის მოატყუებსო.

ხელმეორედ ილაპარაკა მინისტრმა კოკოვცევმა. მთელი თავისი სიტყვა მან უძღვნა მილიუკოვს. კოკოვცევმა განაცხადა: აღნიშნული სესხი, ერთ მილიარდამდე, მევისესხე პარიზში ხელმწიფის ბრძანებით. სესხი აუცილებელი იყო, ვინაიდან უნდა გაგვესტუმრებინა 480 მილიონი მანეთი ვალი. მილიუკოვმა გვისაყვედურა: დრო არ გვყოფნის ბიუჯეტის განსახილველადაო. მთავრობა არ ჩქარობს. თუ 1 იანვრამდე მოასწარით, კეთილი, თუ ვერ მოასწარით—ბევრი არაფერი დაშავდება. შემდეგ მინისტრი შეეხო სათათბიროს უფლებებს და სთქვა, რომ ისედაც კარგად შეიძლება ბუჯეტის განხილვა. თავისი ვრცელი პასუხი მან ასე გაათავა: „მილიუკოვი თხოულობს მთავრობისაგან ნამდვილს სათათბიროს, რომელსაც ხელთ ექნება ყველა უფლებანი. ნამდვილი სათათბირო უკვე არსებობს მათის უდიდებულესობის წყალობით: ამ სათათბიროში სხედან ნამდვილი წარმომადგენელნი ხალხისა, რომელნიც ყოველთვის მოგვაწოდებენ იმას, რაც გვაკლია."

ცენტრმა და მემარჯვენეებმა მისი სიტყვა რამდენჯერმე შესწყვიტეს ტაშითა და „ვაშას" ყვირილით.

ღამის მეთორმეტე საათზე კენჭი უყარეს ოქტომბრისტთა ფორმულას, რომელიც თხოულობს მორიგ საქმეებზე გადასვლას. ფორმულა მიღებულ იქმნა. მის წინააღმდეგ იყვნენ მხოლოდ ს.-დ. და შრომის ჯგუფელები.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **მატარებელზე თავდასხმა**. 30 ნოემბერს, როგორც გვატყობინებენ, ყარსის რკინის გზის სადახლოსა და ახტალას შუა რამდენსამე შეიარაღებულ კაცს განუზრახავს საფოსტო მატარებლის გაძარცვა. 28 ნოემბერს ნაშუაღამევს 1 საათზედ ტფილისიდან ყარსისაკენ გასულა საფოსტო მატარებელი (№ 67), უცნობებს, ალბად, მატარებლის მოლოდინში, ხსენებულ სადგურებს შუა აუღიათ ლიანდაგი და თვითონაც ჩასაფრებულან. დილის 5 საათი ყოფილა, როცა მატარებელი მე-82 ვერსს მიახლოვებია. ორთქლმავალი და რამდენიმე ვაგონი გადასცდენია თუ არა ლიანდაგს, ჩასაფრებულებს აუტეხიათ საშინელი და მგზავრთათვის თავზარდამცემი სროლა. მატარებლის მცველთ სროლითვე გაუციათ პასუხი. ჯარის-კაცებს, როგორც გვატყობინებენ, მოუკლავთ ოთხი თავდამცემი. მგზავრებიდან ბევრი დაჭრილან. ვერ გავიგეთ, არიან თუ არა დახოცილები. ფოსტის გაძარცვა ვერ მოუხერხებიათ და მიმალულან. დილის 6 საათზედ ეს ამბავი ტფილისში შეიტყო რკინის გზის უფროსმა და გაჰგზავნა სასანიტარო მატარებელი დაჭრილთა დასახმარებლად. ამავე მატარებელს გაჰყვნენ ინჟინრები, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი და გამომძიებელი.

✦ **ეჭვით დაპატიმრებულნი**. ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის ჩიქვაის მოკვლის გამო ეჭვით დააპატიმრეს ვაგონის დამტარებელი თედორე მჭედლიშვილი, კონდუქტორები სიმონ ავალიანი, გერმანე მგალობლიშვილი და იასონ ჩაალოვი. პოლიციურ გამოძიების შემდეგ, მჭედლიშვილი განთავისუფლეს.

✦ **ჩხრეკა**. როგორც ვწერდით, 29 ნოემბერს გაჩხრიკეს თავართქილაძის სტამბა, „წყაროს" რედაქცია და კანტორა და „სორაპნის" სტამბა გაჩხრიკეს. ვერც სტამბებსა და ვერც რედაქციაში საეჭვო ვერა აღმოაჩინეს რა. 29 ნოემბერს საღამოთი გაჩხრიკეს კიდევ სახლები და სასმელი დუქნები და ყავახანები. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. ფოსტა-ტელეგრაფის ტფილისის კანტორის უფროსის გამო გაჩხრიკეს აგრეთვე ტრამვაის ბევრი მოხელე.

✦ **ქუჩაში გაძარცვა**. 29 ნოემბერს, შუა დღის 12 საათზე, ტფ. სადეზინფექციო კამერის მახლობლად, დროვიანი ქუჩაზედ 4 შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა ფერშალი განი. ამოაცალეს 306 მან. 15 კ. ზედვე ჰქონია სხვა 343 მან., მაგრამ ის ვერ უნახეს. ამ დღეს ქალაქის კასიდან კამერაში მოსამსახურეთათვის 643 მან. აელო და მიჰქონდა.

✦ **სას.-სამეურნეო საზოგადოება**. 4 დეკემბრისათვის დანიშნულია კავკ. სას.-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსა და ზოგიერთ წევრთა კრება. კრება დაამთავრებს საზოგადოების მომავალ მოქმედების გეგმის პროექტს; ამავე კრებაზე დაასახელებს კანდიდატებს საზოგადოების ვიცე პრეზიდენტისა, საბჭოს წევრებისა, მდივნისა და ხაზინადრის თანამდებობაზედ.

✦ **საუნივერსიტეტო ადგილის დათვალიერება**. საუნივერსიტეტო კომისიის თავმჯდომარემ სტრატონოვმა აცნობა გუშინ ტფ. ქალაქის მოურავს, რომ კვირას, 2 დეკემბრისათვის, დანიშნულია ავლაბარში ქალაქის იმ მიწების დათვალიერება, რომელსაც ქალაქის მომავალ უმაღლეს სასწავლებელს უთმობსო.

✦ **სააუქციონო ზალა**. ამას წინად ტფ. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, განსაკუთრებული კომისია შეუდგა ტფ. სააუქციონო დარბაზის რევიზიას. მიზეზი ის არის, რომ ბოლო დროს სააუქციონო დარბაზის გამგე შადინოვი ანგარიშებს დროზედ არ აძლევდა თურმე. შადინოვმა რევიზიის დანიშვნის შემდეგ სამსახურს თავი დაანება. დარბაზის გამგედ დროებით დაინიშნა გამგეობის მოხელე იაკიმოვი. მალე საბჭო ახალ გამგეს აარჩევს. კანდიდატად ასახელებენ მიხეილ ყიფიანს.

✦ **დაპატიმრება**. ბელაგორიდან გვატყობინებენ: 28 ნოემბერს, საღამოს მატარებლით № 7 სადგურ ბელაგორში ქ. ტფილისიდან ჩამოვიდა საიდუმლო პოლიციის ორი აგენტი. მთელი პოლიცია ფეხზედ დადგა საათის 11-ზე და გაემგზავრნენ სოფ. საქარიქედში, საიდანაც ჩამოიყვანეს თოკით შეკრული პეტრე (იგივე მიტკა) ივანეს ძე მირსკი. ბელაგორიდან ღამის ორ საათზე მირსკისთან ერთად გამოემგზავრნენ ტფილისში.

# ფელეტონი

### ცხოვრება და ხელოვნება

ლეონიდ ანდრეევი

(ლ. ანდრეევის „ცხოვრება ადამიანისა", თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა).

(დასასრული *)

ანდრეევს ბევრი აქვს საშინელის სევდის მომგვრელი ნაწარმოები, თითქმის ყველა ამ გვარის ღრმა სევდით არის მოვარაყებული, მაგრამ „ადამიანის ცხოვრება" მეტის მეტად დამატყვევებელია კაცის გონებისა და აზრისა. თუ გნებავთ თვით „ნისლიც", „სიჩუმე", ცხოვრება ბასილ თებაელისა", განსაკუთრებით კი „ცხოვრება ბასილ თებაელისა" მძიმე შთაბეჭდილებას მოჰგვრის კაცს, მაგრამ ყველა ამაში როგორღაც განსაკუთრებული, არა ჩვეულებრივი არაკია აღებული საგნად და თავის ნუგეში შეიძლება იმით, რომ ასეთი მოვლენა თუმც სინამდვილეს მოკლებულია, მაგრამ ერთობ იშვიათია. „ნისლის" უბედურება თავიდან ადვილი ასაცდენია და თვით უბედურებაც შედეგია იმისი, რომ ვარღვევთ კანონებს „ხორცის სამეუფოსას".

სულ სხვაა „ცხოვრება ადამიანისა". აქ არავითარი ნახტომი, არავითარი შეცდომა არავის არ მიუძღვის—ეს არის სურათი ყოველ ადამიანის ცხოვრებისა, აქ გამოყვანილი ადამიანი დაბადებულა ისე, როგორც ყველა, მას უგრძვნია ძალა გვარის ნაწარმოების განგრძობისა და სიყვარულით გული აჰფეთქებია, სილარიბეც გამოუვლია, სიმდიდრეც გამოუცდია; ისიც, რომ არავინ იცოდა მისი სახელი; გამოუცდია ისიც, რომ სახელოვანი ყოფილა,—მაგრამ ყველა ეს აუცილებლად თავდება სიკვდილით, სიცოცხლის მოსპობით, „ვინმე რუხ ტანისამოსიანის" გამარჯვებით, ე. ი. რაღაც უხილავის, სასტიკის და საშინელის ძალის დღესასწაულით და მშვენიერის სიცოცხლის აღსავსე, გონიერის და გრძნობით სავსე ადამიანის დამარცხებითა და უბედურებით. მისთვის კი არ შურს ადამიანს სიცოცხლე, რომ მან შეიყვარა, რომ მდიდარი იყო ან ღარიბი, რომ უყვარდა ვინმე ან სძულდა, რომ საქმე ჰქონდა ან უსაქმური იყო, არა,—„ცხოვრება ადამიანისა" არის „ვინმე რუხ ტანისამოსიანის" გამოუცნობელ ხვედრის ხელში, მას კი განკარგულება მოუხდენია, რომ „წყვდიადიდან გამოსული წყვდიადშივე დაბრუნდება და უკვალოდ გაჰქრება დროთა უსაზღვროებაში... უარსებობის წყვდიადში აპრიალდება ლამპარი, უცნობის ხელით ანთებული—ეს არის ადამიანის ცხოვრება... შემდეგ კი „ქვეით იწევს, უძლურად იფინება მიწაზე ლურჯი ალი, ციმციმებს და ვარდება, ციმციმებს და ვარდება და ნელ ნელა ჰქრება... ასე მოკვდება ადამიანი".

ადამიანს კი რა დარჩენია ამის ფარად: ბავშვური, დედაბრული წყევა-კრულვა—ხმალი უძლურისა, სატევარი სუსტისა და ბეჩავ ადამიანისა.

იმაზე უფრო შორს წასვლა „ადამიანის ცხოვრების" და მით მთელის ცხოვრების უარყოფაში, რაც ანდრეევმა თავის უკანასკნელ დრამაში ჩაიდინა, აღარ შეიძლებოდა და უსათუოდ თვით ანდრეევმაც იგრძნო და იგემა სიმწარე და საშინელება ასეთის ფილოსოფიისა და თვითვე დაგმო, თვითვე მოუნახა მას დამპალი ფესვი, მოუნახა მოწამლული წყარო და „ელეაზარ"-ში ღრმად გვაგრძნობინა ამგვარის უარყოფითის ფილოსოფიის მავნებლობა და უვარგისობა. ამ მოთხრობაში მან ღრმად დაატრიალა ნესტარი მთელის კაცობრიობის კულტურაში, გამოაფინა მისი მთავარი ტენდენციები და თვალწინ დაგვიხატა მისი ცხოვრების მომაკვდინებელი ან ცხოვრების მაცოცხლებელი ძალა. თითქო ანდრეევი გულში აჭარებდა ამდენ ხანს ჯავრს იმათ შესახებ, ვინც მას ხელი შეუშალა ახალ გზის გამორკვევაში, „ხორცის მეუფების" განმტკიცებისა და გამშვენიერებისათვის საყვედურებს ხელოვნურის სურათებით პასუხობდა და ის, ვინც დღევანდელ „პრინციპებს" ეპოტინება, მათი განხრწნილება, მათი უნიადაგობა თვალ წინ მშვენიერს მხატვრობაში გადაგვიშალა. ელეაზარი, იგივე ლაზარე, „მესამესა დღესა მკვდრეთით აღდგომილი", ის ლაზარე აღარ იყო, რაც მანამდის, ვიდრე სიკვდილს იგემებდა. სახეზე დაეტყო გარდუვალ გახრწნილებისა და საფლავის დაღი. უწინ ლაზარე ხასიათით მხიარული და უდარდელი იყო, უყვარდა მხიარულება და უწყინარი ხუმრობა. სწორედ ასეთის ხასიათისათვის შეიყვარა იგი მოძღვარმა. ეხლა კი მისი მხიარული „სახე სევდამა და მოწყენილობამ მოიცვა; აღარ ხუმრობდა ხოლმე და თუ ვინმე გაეხუმრებოდა, ღიმილით აღარ უგებდა პასუხს; ხოლო ის სიტყვები, რომელსაც ხანდისხან წარმოსთქვამდა, სრულიად მარტივი, ჩვეულებრივი სიტყვები იყო, ყოველ-დღიურის საჭიროების გამომხატველი. ამ სიტყვებში შინაარსი და სიღრმე ისევე აღარ იყო, როგორც იმ ხმაში, რომლითაც პირუტყვი გვამცნევს ხოლმე თავისს ტკივილებსა და სიამოვნებას, შიმშილსა და წყურვილს. ასეთი სიტყვები შეიძლება მთელ თავის სიცოცხლეში ალაპარაკოს კაცმა, მაგრამ ვერავინ თავის დღეში ვერ გამოიცნობს ამის შემწეობით, რითი იყო დაავადებული ან რითი სიამოვნებდა მისი ღრმა სული." და ყველა, ვინც კი დაუახლოვდებოდა ხოლმე ელეაზარს, თან გულსა და სულში მიჰქონდა რაღაც წაუხოცელი სევდა და ვაება. რაღაც განხრწნილების სუნი სდევდა თან, სიკვდილის მახვრალ ხელს მისი გონება ვეღარ წაუვიდოდა. ის შთაბეჭდილება, რომელსაც იგი იწვევდა, მხოლოდ სიკვდილით თუ მოისპობოდა. მრავალი იყო ცნობისმოყვარე, მამაცი და მხნე, ფილოსოფოსი, თუ მეომარი, რომელსაც სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ლაზარეს უცნაური გავლენა იმის მნახველებზედ. მაგრამ მივიდოდნენ და დაელაპარაკებოდნენ თუ არა, მაშინვე მათი არსება იცვლებოდა და როცა უკანვე ბრუნდებოდნენ, ლაზარეს თანამემამულენი მაშინვე იცნობდნენ და ამბობდნენ—„აი კიდევ ერთი უცნაური, ამასაც განუცდია ელეაზარის შეხედვა..."

„იმისგან არავინ არ დაბრუნებულა ისეთი, როგორიც მივიდამასთან, ერთი და იგივე საშინელი აჩრდილი აწვა ყოველ მათგანს გულსა და სულზედ და ძველ ქვეყნიერებას სრულიად სხვა გვარის თვალით ხედავდა." გულ და სულ ჩამკვდარი, გონება დაჩლუნგებული მისი მნახველი ასე ამცნევდა თავისს გრძნობას, თუ კიდევ შერჩენოდა შეძლება თავისის გრძნობების გამოხატვისა. „ჯერ კიდევ არ დაბადებულა ადამიანი და ჩვენს თვალში იმის თავზედ უკვე სამგლოვიარო სანთლები იყო ანთებული, და ეს სანთლები უკვე ჰქრებოდნენ და არარაობა, სიცარიელე იჭერდა ადამიანისა და სამგლოვიარო სანთლების ადგილს; და სიბნელითა და სიცალიერით გარემოცულ ადამიანს უსაზღვრო კანკალი აიტანდა ხოლმე, იგი თრთოდა **უსაზღვროს** შიშით."

ელეაზარის სანახავად დაიძრა რომიდან შესანიშნავი მექანდაკე. „თიხისა, მარმარილოსა და ბრინჯაოსაგან იგი ჰქმნიდა ღმერთთა და **ადამიანთა სხეულს**. ისეთი იყო ამ ქმნილებათა ღვთაებრივი მშვენიერება, რომ ადამიანი ამ სიმშვენიერეს უკვდავს უწოდებდა, მაგრამ თვით არ იყო კმაყოფილი თავის ქმნილებით და ყველას არწმუნებდა, რომ არის რაღაც, ჭეშმარიტად ბევრად უმშვენიერესი, რომლის გამოქანდაკება შეუძლებელია მარმარილოსა, ან ბრინჯაოს შემწეობით... ჩემს მარმარილოს სული არ უდგას, ჩემს მშვენიერ ბრინჯაოში სიცოცხლე არ არისო".

მექანდაკეს გაეგონა ელეაზარის უცნაური ამბავი. წავიდა იმის სანახავად, დაჰყო მასთან მთელ დღესა და ღამეს. ხო-

*) იხ. „ისარი" № 264.

✦ **კონდუქტორის გაძარცვა.** ტრამვაის კონდუქტორმა არშაკ კულიანცმა 29 ნოემბერს პოლიციას გამოუცხადა, საღამოს 9 საათზედ ოლგის ქუჩის ბოლოს, როცა ვაგონი გაჩერებული იყო, შემომივარდა ორი შეიარაღებული კაცი, 15 მან. ამომაცალა და მიიმალთო.

✦ **მილიონერის მემკვიდრეობა.** ამ დღეებში ტფილისში გარდაიცვალა ცნობილ მილიონერის ღუკასოვის ქვრივი. ქმრის გადაცვალების შემდეგ ქვრივს დიდ ძალი ქონება დარჩა. ღუკასოვის ერთად-ერთი მემკვიდრე 14 წლის ქალია, რომელსაც, როგორც ამბობენ, დარჩენია 10 მილიონ მანეთამდე. ქვრივს ანდერძით 150,000 მან. დაუტოვებია სხვა და სხვა სომხურ დაწესებულებისთვის.

✦ **მეფურნის მაძარცვა.** მეპურეს აკოფ ჩახალოვს 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ, ფურნეში შეჰვარდნია 4 კაცი და მოუთხოვნია ფული. ავაზაკებს დახლიდან ამოუღიათ 24 მან., შემდეგ გაუტეხიათ საწოლ ოთახის გასაღები, იქიდანაც 583 მან. გაუტაცნიათ და მიმალულან.

✦ დღეს, 1 დეკემბერს, ტფილისში გამოვა ახალი სომხური ყოველდღიური გაზეთი „ანკახ მამულ“.

✦ ნაძალადევში დოტკის გორაზე მცხოვრებ სპარსეთის ქვეშევრდომს ბაბა ავაზოვს, როგორც მან პოლიციაში განაცხადა, 29 ნოემბერს ღამე შეჰვარდნია 7 კაცი. მოსამსახურეების დახმარებით ავაზოვს ერთი დაუჭერია. როდესაც იგი პოლიციაში მიჰყავდათ თურმე, იურიევის ქუჩაზე თავს დასცემიან უცნობნი, ავაზოვის ერთის მსახურისთვის თავი გაუტეხიათ და ამხანაგი გაუნთავისუფლებიათ.

✦ 29 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სპარსეთის ქვეშევრდომს მამადი ალი მამედ ოღლი-ალიევს წმენდის დროს რევოლვერი გაუვარდა ვორონცოვის ქუჩაზე თავის სახლში და მოხვდა შუბლში. ალიევი იქვე გარდაიცვალა.

✦ ბალაჯარის ქუჩაზე მცხოვრებმა გრ. საკოვმა პოლიციას გამოუცხადა, 29 ნოემბერს, ღამის 12 საათზედ, ჩემ სახლთან მოვიდა ოთხი ბოროტ-განმზრახველი. ერთი ამოვიდა ეზოს გალავანზე და გადმოპარვას აპირებდა. მე ოთხჯერ ვესროლე უცნობებს, მათ კიდევ 8 ჯერ მესროლეს. ბოლოს გაიქცნენ.

## პრესსა

„წყარო“-ს იურიევიდან კორესპონდენციასა სწერენ. ამ კორესპონდენციაში, სხვათა შორის, ქართულ „ზემლიაჩესტვო“-ს ამბავიცაა მოთხრობილი. იურიევში, როგორც რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში, წინად არსებულა ქართული „ზემლიაჩესტვო“, რომელიც „წევრების უმრავლესობის სურვილით „კავკასიელ საზოგადოებათ“ გადაუკეთებიათ“, აქ ახალ ზემლიაჩესტვოში „კავკასიის ყველა ნაციის სტუდენტები შესულან“. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველ სტუდენტთა ერთს ჯგუფს ისევ ძველ ქართულ „ზემლიაჩესტვოს“ აღდგენა მოუსურვებია. ამ ვითომდა „სამარცხვინო“ საქციელს „წყარო“-ს კორესპონდენტი ძალიან აუღელვებია. სტუდენტები „ჭეშმარიტ ქართველებათა“ და სხვა ამნაირის ეპიტეტებით მოუნათლავს და თან იმუქრება, საშინელ ფაქტებს, ამაზე უფრო სამაგელ საქციელებს გამოვაშკარავებო.

ჩვენ არ ვიცით, რა დანაშაულობა მიუძღვის სტუდენტთა იმ ერთს ჯგუფს და ამიტომ ეხლავე ვერც გამოვექომაგებით; მაგრამ, თუ დანარჩენი „საქციელებიც“ იმნაირებია, რანაირიც სურვილი „ქართულ ზემლიაჩესტვოს აღდგენისა“, ისევ სჯობიან კორესპონდენტმა ხმა აღარ ამოიღოს. წერილიდან სჩანს, რომ ქართული „ზემლიაჩესტვო“ „კავკასიის ამხანაგობად“ გადაუქცევიათ. მაგრამ რითი ხელმძღვანელობდნენ სტუდენტები ამნაირის „გარდაქმნის“ დროს, ამაზე კორესპონდენტი სრულიად არაფერს ამბობს. საყურადღებო კი საქმის სწორედ ეს მხარეა. რად უნდა არსებობდეს მაინცა და მაინც „კავკასიის ამხანაგობა“, და არა ქართული „ზემლიაჩესტვო“? ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ოდესაში, სადაც ქართული „ზემლიაჩესტვო“ კარგა ხანს ფაქტიურად არ არსებობდა, წელს კი სტუდენტობამ იგი ისევ ამავე სახელით აღადგინა. ოდესის „ზემლიაჩესტვოში“ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც შედიან. რად დასჭირდათ იურიევის სტუდენტებს ქართულ „ზემლიაჩესტვო“-ს გაუქმება და „კავკასიის ამხანაგობის“ დაარსება? იმათაც სათაკილოდ ხომ არ მიაჩნიათ ქართველის სახელის ტარება? ან იქნება ბიუროკრატიის მიერ ხელოვნურად შექმნილ ადმინისტრატიულ დანაწილებას ისე შეეთვისნენ იურიევის სტუდენტები, რომ კავკასია მართლაბუნებრივად შეკავშირებულ და შეუღლებულ ერთეულად მიაჩნიათ? არა გვგონია, რომ რუსეთის ბიუროკრატიისა და ქართველ სტუდენტის შეხედულება ამ საგანზე ერთნაირი იყოს... იმედი გვაქვს, რომ იურიევის სტუდენტები საქმის ნამდვილ ვითარებას გაგვაცნობენ.

## პროვინციის ცხოვრება

**ხოფ. ახალგორი** (დუშეთის მაზრა). შავმა და ბნელმა ძალებმა აქეთაც გადმოჰქროლეს. დღემდის აქაური პროვოკატორ-მეველეფელები წელში მოკაკულნი დაიარებოდნენ და ყველას ძმობას ეუბნებოდნენ და „გაუმარჯოს ერთობასო“, გულ-მოდგენედ გაჰყვიროდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ძალა ხალხის ხელში იყო, ეხლა-კი, რეაქციის გამარჯვებასთან, იმათაც წელი გაიმაგრეს. ეხლა ესენი გაიძახიან: „აი თქვე ესეთ-ისეთებო, ამოფხვრეს თუ არა თქვენი ერთობაო“. იწყეს ჯაშუშობა; ვისაც კი შეამჩნევენ, რომ ხალხის საკეთილ დღეოდ ლაპარაკობს, მაშინვე აჭერინებენ. აქ რამდენსამე ამხანაგს ტყუილ-უბრალოთ ამოაყუდებინეს თავი საპყრობილეში. ხალხის ყელყელას ხომ საზღვარი აღარა აქვს ამ მუქთა ხორებისგან. გლეხს ჩამოაქვს 40—60 ვერსის მანძილიდან ერბო, ყველი, მატყლი, ჩამოჰქვავს დორი, რომ ამის ფულით ცოლ-შვილს ლუკმა პური წაუღოს. ეს გაბდენძილი გაჭრები კი მესამედ ფასში ართმევენ. პურიც დაძვირდა—გირვანქა შავი პური 6 კ. პ.

გლეხი ვანო.

—

**კავკავი.** 26 ამ თვეს სადამოს შვიდის ნახევარ საათზედ ბაზაზების ქუჩის კუთხეში მიხაილის მოედანთან თხუთმეტამდე შეიარაღებული ცხენოსანი ქისტი დაეცა სვიმონოვის ფარჩის მაღაზიას. ზოგი მაღაზიაში შევარდა და ფარჩეულობას დაუწყო ლაგება ტომრებში და ზოგმა იქათ-აქეთ თოფების სროლა ასტეხეს. თოფების ხმაზე გაჩნდნენ სალდათები და დაუწყეს სროლა ქისტებს. სალდათებმა მოუკლეს ერთი ცხენი. ქისტები გაიქცნენ საქართველოს სამხედრო გზით. მათ საჩქაროდ დაედევნა 100 ყაზახი. კავკავიდან ხუთი ვერსის მოშორებით ულანოვის ბაღთან მდევარმა დაიჭირა ერთი ქისტი და დაუჭრეს ორი ცხენი, დანარჩენი მძარცველები მიიმალნენ ტყეში. ქისტებმა გაიტაცეს ფარჩა და ფულის კასა, მაგრამ კასა, რადგან მძიმე ყოფილა, გზაზედვე დაუგდიათ. სროლის დროს დაიჭრა სვიმონოვის მეზობელი მეყაიშე. თვით სვიმონოვიც ძრიელ ნაცემია სახეზე თოფის კონდახით.

ქართველი ოსიშვილი.

### ყაზანის უნივერსიტეტის ცხოვრებიდან

უნივერსიტეტში ოფიციალურად გადმოიტანეს პოლიციის განყოფილება.—სტუდენტების გაფიცვა.—ჭეშმარიტ რუსთა კავშირის დეპეშა საეროთ-განათლების სამინისტროს.—სტუდენტების საერთო კრება.—ქართველი სტუდენტობა.

22 ოქტომბრის სტუდენტთა საერთო კრების დადგენილებით, სტუდენტობა შეუდგა ლეგალურ ცენტრალურ ორგანოს არჩევას. პოლიციამ დიდი მხნეობა გამოიჩინა არჩევნების დროს. მან უბოდიშოდ გადმოიტანა თავისი განყოფილება მეცნიერების ტაძარში. თვითეულ კრებას ესწრებოდნენ პოლიციის აგენტები და, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდნენ არჩევნების საქმეს. სტუდენტობამ ამის გამო ვერც ერთ დეპუტატის არჩევა ვერ მოახერხა. არა თუ საარჩევნო კრებებზედ, სტუდენტების ნივთიერ მდგომარეობის გამოსარკვევად დანიშნულ კრებებსაც არ აკლდებოდა.

31 ოქტომბერს, როდესაც დანიშნული იყო სტუდენტების სხვა და სხვა წრის წარმომადგენელთა *) (Организ. представителей землячеств.) კრება, აუდიტორიაში დაუპატიჟებლად შემოიჭრნენ პოლიციელები. სტუდენტები ძლიერ აღელდნენ, დაუწყეს პოლიციელებს ლანძღვა-გინება, სტვენა, მაგრამ უკანასკნელნი ადგილიდანაც არ იძროდნენ. თავმჯდომარემ შეეკითხა მათ: „რა გნებავთო?“ მათ უპასუხეს: ჩვენ კრებას უნდა დავესწროთო. სტუდენტებს სხვა გზა არა ჰქონდათ, კრება დახურეს და შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანეს. ხუთი წუთის შემდეგ აუდიტორია დაიცალა, დარჩნენ მხოლოდ პოლიციელები. ასეთივე ისტორია განმეორდა რამდენსამე სხვა კრებაზედაც.

ამ გარემოებამ ძლიერ დააფიქრა სტუდენტობა. სტუდენტობის იმ ნაწილმა, რომელიც ლეგალურ ცენტრალურ ორგანოს მომხრე იყო, ნათლად დაინახა, რომ ლეგალურად „სტუდენტების საბჭოს“ არჩევა ყოვლად შეუძლებელია. დაიბადა არა-ლეგალურ ცენტრალური ორგანოს შექმნის საჭიროების აზრი. საჭირო იყო მხოლოდ საერთო კრების მოწვევა. ამ აზრმა სტუდენტობაში უფრო ღრმა ფესვები გაიდგა 27 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ყაზანში ჩამოახრჩვეს ექსპროპრიატორი ნიკოლაევი. ამ დღეს, დილის ცხრა საათზე, როდესაც პროფესორები ლექციების კითხვას შეუდგნენ, რამდენმამე სტუდენტმა ჩამოიარა აუდიტორიები და სთხოვა ყველას საერთო კრებაზე დასწრება. კრებას დიდი აღელვება ეტყობოდა. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „სტუდენტობა, აღშფოთებული-რა მთავრობის საზიზღარ მოქმედებით, უცხადებს მას პროტესტს ერთის დღის გაფიცვით“. კრება სიმღერით დაიშალა. არ გასულა ათი წუთი, რომ უნივერსიტეტს დრაგუნებმა ალყა შემოარტყეს, მაგრამ უნივერსიტეტში არც ერთი სტუდენტი აღარ იყო. ადმინისტრაციამ ორი დღით დაკეტა უნივერსიტეტი.

სტუდენტობის ასეთმა მოქმედებამ ძლიერ შეაშფოთა ადგილობრივი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“, რომელმაც საერო განათლების მინისტრს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „ყაზანის უნივერსიტეტი მემარცხენე პროფესორთა და გარევოლიუციონერებულ სტუდენტობის ხელშია; იგი ანარქიისკენ მიისწრაფის. ხშირად ნებადაურთავი კრებები იმართება. 27 ოქტომბერს ერთმა მუჭა სტუდენტობამ გარეკა პროფესორები ლექციებიდან, მათ რიცხვში თვით რექტორიც, და განაცხადა პროტესტი კაცის მკვლელ მძარცველის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ“ და სხვა და სხვა. ბოლოს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ სთხოვს მინისტრს, მიიღოს ზომები ყაზანის უნივერსიტეტის საქმეების მოსაწესრიგებლად, ე. ი. გამოგზავნოს რევიზორი. დეპეშას ხელს აწერს კავშირის გამგეობა.

ამ გარემოებამ „კანონიერების“ და „ლეგალიზაციის“ მომხრე სტუდენტობას აზრი შეაცვლევინა. 11 ნოემბერს მოხდა სტუდენტთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო ესერების და „ბოლშევიკების“ წინადადება არა ლეგალურ ცენტრალურ ორგანოს არჩევის შესახებ. დამარცხდნენ „მენშევიკები“, რომელნიც დღესაც მომხრენი არიან „კანონიერებისა“ და „ლეგალიზაციის“-სა. ცენტრალურ ორგანოში იქნებიან უნივერსიტეტში არსებულ საrevოლიუციო ფრაქციების დეპუტატები.

ქართველი სტუდენტობაც, მხურვალე მონაწილეობას იღებს საერთო მოძრაობაში. სხვათა შორის მათ დააარსეს ქართველების სამეცნიერო და სალიტერატურო წრე, სადაც ყოველ კვირას იკითხება მეცნიერულ ხასიათის რეფერატები. ოთხ ნოემბერს ერთმა ქართველმა ესერმა წაიკითხა რეფერატი აგრარულ საკითხის შესახებ რუსულ ენაზედ. გაიმართა კამათი. ბოლოს რეფერენტს მადლობა გამოუცხადეს. შობამდის წაკითხულ უნდა იქნას ხუთამდე რეფერატი. ქართველი წელს ყაზანის უნივერსიტეტში 43-ია, მათ რიცხვში სამი ქალი.

ილიკო გმელმინდორელი.

*) ამ ორგანიზაციაში ყველა წრიდან (ЗЕМЛ.) შედის თითო წარმომადგენელი. იგი განაგებს სტუდენტების მატერიალურ საჭიროებების საქმეს.

## რუსეთი

✦ **ახალი სარევოლიუციო ორგანიზაცია.** 24 ნოემბერს პეტერბურგში პოლიციას გაუჩხრეკია ვინმე არისტოკრატის ხოლუტინის ბინა და აღმოუჩენია არისტოკრატთა კრება. ბოლოს გამოირკვა, რომ არისტოკრატთა შორის შემდგარი ყოფილა განსაკუთრებული წრე, რომელთაც მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონიათ რევოლუციონერებთან: აწვდიდნენ მათ სხვა და სხვა საიდუმლო ცნობებს, უგროვებდნენ ფულებს და სხ. დაპატიმრებულთა შორის მრავლად არიან ქალები.

✦ **მილიონების გაფლანგვა.** განსაკუთრებულმა კომისიამ დაამთავრა ბაიკალის რკინის გზის კონტროლი და აღმოაჩინა, რომ გზის ადმინისტრაციას გაუფლანგავს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი.

✦ **ლოცვა.** ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა გამოაცხადა: ამა და ამ დღეს პეტერბურგში, ყაზანის სობოროში პეტერბურგის მიტროპოლიტი პარაკლისს გადაიხდის და ვთხოვთ ყველა ჭეშმარიტ რუსებს

---

ლო როცა მეორე დღეს მის მოსაკითხავად მივიდა მონა, ვეღარ იცნო მექანდაკე, ცრემლებით თვალები აევსო და ხმა-მაღლად შესძახა ბატონს—„რა დაგემართა, რა დაგემართა, ბატონო?“ მექანდაკე დაბრუნდა უკან ავრელი, დაღვრემილი და დასევდიანებული. დაიწყო ქანდაკება და შექმნა ისეთი, რაღაც შესაზარი ისეთი შესახედაობისა, რომ კაცის თვალს ჯერ მსგავსი არა ენახა-რა, თუმცა კი ვითომ და რაღაც ახალის უცნობის ფორმის მომასწავებელი. წვრილ მრუდე ტანზე, ანა და რაღაც შტოს უშნო მსგავსებაზედ, მრუდედ და უცნაურად გამხლართული იყო ბრმა, უსახო, დაწეწილი მასსა, რაღაცასი შიგნით შებრუნებულისა, რაღაცასი გარედ გადმობრუნებულისა, რაღაც ველურის ნაფლეთებისა, რომელნიც უძლურად სცდილობდნენ თავის თავს განშორებოდნენ, ერთ უცნაურად გამოშვერილ ნაპირზედ შემთხვევით შეამჩნიეს საუცხოვოდ გამოქანდაკებული პეპელა, გამჭვირვალე ფრთებით, რომელიც თითქო ირთოდნენ ფრენის უძლურის სურვილის გამო“. ერთმა სკულპტორის საუკეთესო მეგობარმა, დაინახა რა ეს საზიზღარი ნაწარმოები, სიმართლე ვეღარ დაუმალა მეგობარს და უთხრა „საზიზღრობაა, ჩემო მეგობარო. ეს უნდა მოისპოს. მოიტა ჩაქუჩი“.

მეგობრებმა ნაკუწ ნაკუწად აქციეს შესაზარი რაღაც, მაგრამ ხელი არ ახლეს საუცხოვო პეპელას. მას შემდეგ სკულპტორს აღარა შეუქმნია რა. არსებითის გულგრილობით უცქეროდა მარმარილოსა და ბრინჯაოს და უწინ მისგან შექმნილს ღვთაებრივ ნაწარმოებს, რომლებზედაც განისვენებდა უკვდავი სიმშვენიერე, და როცა დაუწყებდნენ ხოლმე ხანგრძლივ ბაასს სიმშვენიერის შესახებ, დაღონებული და დაღვრემილი პასუხს უგებდა ხოლმე:

—კი, მაგრამ ეს ხომ ყველაფერი სიცრუეა!

ელეაზარი მიიწვია თვით რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა. მაზედაც გავლენა იქონია ელეაზარის შეხედვამ, ისიც კინაღამ არ დაღუპა, მაგრამ სიცოცხლის ძალმა იხსნა იგი. სიცოცხლისა და სიკვდილს შორის მან სიცოცხლისკენ მოახერხა გადახრა და სიცოცხლესა და მისგან მონიჭებულ მხიარულობაში ეძიებდა იგი ფარს სიცარიელის უფსკრულისა და დაუსრულებელის საშინელებას წინააღმდეგ. მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ორად გაიყო და თუ დღეს მხიარულობასა და ქეიფს ანდომებდა, ღამე მისს სასთუმალთან აიმართებოდა ხოლმე საშინელი შავი აჩრდილი სიკვდილისა და უწამლავდა გონებას.

და ავგუსტუსმა ბრძანა, რომ ელეაზარისათვის გახურებულის შანთებით ამოეწვათ თვალები. ელეაზარი კი სამარადისო უფრო ღრმად ჩაძირულის ქუთუთოებით კიდევ უფრო საშიშარი შეიქმნა.

დიდი დავა არ უნდა იმას, რომ ანდრეევმა ამ მშვენიერს სურათში გამოხატა ორ სამეფოს ბრძოლა: ბერძნულ რომაულ კულტურისა, რომელიც ხორცს სიცოცხლეს და სიმშვენიერეს ემსახურებოდა, და ქრისტიანებრივ კულტურისა, რომელმაც სიცოცხლე და ცხოვრება თავისის სიმშვენიერით დაჰგმო და მარტო სულის ბატონობა აღიარა, რომელიც წინ ედობებოდა და სტუქსავდა ყოველსავე გამოჩენას ცხოვრების გრძნობისას და მარტო სიკვდილის სამეუფოზედ უთითებდა კაცს. ელეაზარმა—სიმბოლომ ქრისტიანობრივობის, **განხორციელებულმა სიკვდილმა** დაღუპა ავრელი (მექანდაკის სახელია), **განხორციელებული სიცოცხლე და უკვდავი მშვენიერება**, დაღუპა და დაამხო მთელი კულტურა სიმშვენიერის მრწამსზე აღგებული და საზიზღარი სადი შესაზარის სიკვდილის სამეუფო განამტკიცა. მაგრამ ეს ასე ადვილი როდი გახლდათ: ბერძნულ რომაული კულტურა ციდან ჩამოვარდნილი ან ქვესკნელიდან ამომძვრალი რამ არ იყო, იგი იყო ადამიანის არსების უღრეს მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი, ამ მოთხოვნილებაზედ დამყარებული და განმტკიცებული. შეიძლებოდა ერთის წუთით მისი შეჩერება, მაგრამ მისი მოსპობა შეუძლებელი იყო და აი ავგუსტუსი, სიმბოლო ამ კულტურის ყოველის დარგისა, სძლევს ელეაზარს ანა და, მოთხრობის სიტყვები რად გავიმეოროთ, ელეაზარმა სძლია ავგუსტუსი, მაგრამ ვერ მოჰკლა იგი—ისე როგორც ქრისტიანობამ ვერ მოჰკლა სიმშვენიერე და სილამაზე, ვერ მოჰკლა ხორცი და სიცოცხლე; მან იგი დაამახინჯა ისე, როგორც ავრელიის მშვენიერების წყარო, მისი გენიოსობა. გაივლის დრო და ძველი კულტურა არა ჩვეულებრივის სიცოცხლით აღორძინდება განახლების ეპოქაში და მიქელ ანჯელოს ხელოვნება პრაქსიტელის ხელოვნებას მეტოქეობას დაუწყებს. კიდევ გაივლის დრო და დღეს სევდა, დარდი თავისებური ნოსტალგია ბერძნულ რომაულის კულტურის გამო საოცარის ძლიერებით იფეთქებს და თავის ფილოსოფიურ დამცველს ნიცშეში ჰნახავს. თანაც დღევანდელი ხელოვნება, ლიტერატურა იმ ძალის მიმბაძველობას იჩემებს და სცდილობს განათავისუფლოს კაცის გონება და აზრი იმ სიკვდილის შავი აჩრდილისაგან, რომელიც ქრისტიანობამ უანდერძა კაცს. ხოლო ქრისტიანობრივ კულტურას უმნიშვნელოდ როდი გაუვლია კაცისათვის და ქრისტიანობრივ ზნეობრივობასაც თავისებური დაღი დაუსვამს კაცობრიობისათვის. ადამიანის სულსაც, სიკვდილის საშინელებასაც თავისი ადგილი ექნება კაცის გონების ნაწარმოებში, მაგრამ თვით მშვენიერებას უკვდავების სახელით მონათლენ და პრაქსიტელის ჰერმესს ანა და უცნობის სკულპტორის ვენერასაც სულ სხვა თვალით შევხედავთ, მათის ხორცის სიმშვენიერე ჩვენთვის სულის სიმშვენიერის მომასწავებელია და გარეშე სულის სიმშვენიერისა თვით მათაც არ შეემჩნეოდათ „ღვთაებრივი უკვდავება“. კაცობრიობა ეცდება რამდენადაც შეიძლებ მოარიგოს სული და ხორცი, ერთს ნიადაგზედ დასვას და არც ერთს უპირატესობა არ მისცეს. კაცობრიობა ეცდება, და მისის გონების წარმომადგენელნი გვაძლევენ საბუთს აქ ცდისას, რომ კაცს სურვილსა და ნებას, თვითვე მის გულსა და გულში, მის ბუნებაში მოუძებნოს საზღვარი და გაანთავისუფლოს იგი ყოველგვარ მორალურის ძალდატანებისა, გარეგან ვალდებულებისაგან მორალი გარეშე ყოველგვარის მონობისა და ჯაჭვებისა. ერთის მხრით ამ აზრს ემსახურებიან ის მწერლებიც, ვინც „ხორცის განთავისუფლებას“ ქადაგებენ (ვილეკინდი, შნიცლერი, რუსის ახალგაზდა მწერლები არციბაშევი, სოლოგუბი, ანდრეევი და სხვ.). შეიძლება ხანდისხან გადააჭარბონ ამაში, მაგრამ კაცის, ადამიანის თავისუფლებაში გადაჭარბება შეუძლებელია, ადამიანი ვითარცა პიროვნება, უსაზღვროდ თავისუფალი უნდა იყვეს და იმის თავისუფლების საზღვარი იქ უნდა დაიდვას, სადაც ამას თვით ბუნებრივი კანონი თხოულობს. დაე, ხანდისხან ამ მწერალთა ქადაგება უცნაურადაც გაიგოს დღევანდელმა კაცობრიობამ და უსამართლო ჯაჭვებით შებორკილმა მეტის-მეტად აიშვას, თვით იგივე, თვით მისი გრძნობა და ბუნება მოუნახავს მას იმ წერტილ, სადაც იგი უნდა შეჩერდეს. დღევანდელ ყალბ ზნეობრივობას და ორჭოფა უბიწებას კი ყოველგვარი თავაშვებული გარყვნილება სჯობიან, ისე როგორც ცხადი და გამოჩენილი სენი ჩუმსა და ფარულს, რომლის დიაგნოზი შეუძლებელია და ექიმობა მოუხერხებელი.

მაგრამ, კმარა... ამ საგანზედ შემდეგში კიდევ მოვილაპარაკებთ, როცა ვიდეკინდის ნაწარმოებებს გავაცნობთ საზოგადოებას.

გიჟა იაშიძე.

დაესწრნენ ამ პარაკლისსა. პარაკლისის აზრი ის არის, რომ ჭეშმარიტ რუსებს მიტროპოლიტმა ლოცვით უნდა განუფანტოს ეჭვი შესახებ იმისა, რომ რუსეთში ვითომ პოლიტიკური წყობილება შეცვლილიყოს.

# უცხოეთი

**ბორის სარაფოვის მოკვლა.** 28 ნოემბერს, ღამე სოფიაში რევოლვერით მოუკლავთ ცნობილი ბელადები მაკედონელ რევოლიუციონერებისა ბორის სარაფოვი და გარვანოვი. მკვლელი აღმოჩნდა ცნობილი ბელადი მეორე ჯგუფისა პანიცა, რომელიც ჯერ ვერ დაუპატიმრებიათ. გარვანოვი იქვე მომკვდარა, სარაფოვი კი ნახევარ საათის შემდეგ გარდაცვლილა საავადმყოფოში. ამ მკვლელობის შესახებ ორნაირი ხმა დადის. ერთნი ამბობენ, მკვლელობა პირად ნიადაგზე მოხდაო, მეორენი კი ამტკიცებენ, რომ მკვლელი მოსყიდულია ოსმალეთის მთავრობის მიერ, რომელმაც დიდი ხანია გადასწყვიტა როგორმე თავიდან მოიშოროს თავისი ორი დაუძინებელი მტერი—სარაფოვი და გარვანოვი.

**ინტერნაციონალური გარყვნილება.** ყველამ იცის, თუ რა საშინელი აყალმაყალი და ალიაქოთი გამოიწვია მოლტკეს პროცესმა. ჯერ საბოლოოდ არ გათავებულა ეს საქმე, რომ მისი მსგავსი ამბავი გამოაჩხრიკა რომში. ამ ქალაქში ოდესღაც დაუარსებიათ „მხატვრულ ფოტოგრაფიის ინსტიტუტი.“ ეხლა აღმოჩნდა, რომ ეს ინსტიტუტი ყოფილა საერთაშორისო პედერასტიის კანტორა, საიდანაც ახალგაზრდა ყმაწვილებს უგზავნიდნენ მორიგებით ყველას, ვინც კი მოისურვებდა. პოლიციას ხელში ჰყავს 100 ყმაწვილი კაცი, რომელნიც მალე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. მათთან ერთად სამართალში მიცემულია მრავალი არისტოკრატი: თავადი, ბარონი, ჰერცოგი და სხ. მათ გარდა ჩირქი მოეცხო მრავალ უცხოელ არისტოკრატსაც. პირველი ადგილი მათ შორის უჭირავთ გერმანელებს, მერე რუსებს, ფრანგებსა და ინგლისელებს.

## „წ.-კითხ. გამავრცელებელი საზოგადოება“ და ჩვენი სამარცხვინო გულგრილობა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

კითხვა, დასმული „ისრის“ მეთაურ წერილში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» ანგარიშის გამო, ისეთი საგულისხმო და ეროვნული კითხვაა, რომ ყველა ქართველი, წოდებისა და ხარისხის გაურჩევლად, მოვალეა მას ანგარიში გაუწიოს, თვისი ფიქრები და აზრი გამოსთქვას მის შესახებ. აი ეს კითხვა: «როგორ უნდა ემველოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და რა მალამო უნდა დაედოს იმ სატკივარს, რომელსაც ქართველური გულგრილობა ეწოდება“.

მართლა, როგორც უნდა ემველოს „წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოებას“? როგორც ნათლად სჩანს ამ საზოგადოების ანგარიშიდან, ჩვენი ერთად-ერთი ეროვნული კულტურული დაწესებულება სულს ლევს უსახსრობისა გამო: 4220 მანეთის ნაცვლად შემოსულა 1799 მან.; ამის გამო 10 სკოლიდან ექვსი სკოლა დაკეტილა, ორი-მესამედი ბიბლიოთეკებისა მოსპობილა, 63 გამოცემიდან გაყიდულა მხოლოდ 115 ცალი წიგნი!..

როცა ამისთანა ცნობებს კითხულობ, სწორედ გრცხვენია ქართველობისა; გეკარგება იმედი უკეთეს მომავლისა და, სამწუხაროდ, უნებლიედ გებადება რწმენა, რომ ქართველებს მოუჭამიათ თავიანთი დრო, დაუძლურებულან ეროვნულად, გადატაკებულან გონება-ზნეობრივად და შეუჩერებელ სისწრაფით მიექანებიან გადაგვარებისა და გადაშენების უფსკრულისაკენ; სამუდამოდ გაჰქრობია მათ ძველებური ლამპარი სწავლა-განათლებისა, ფერფლით და ნაცრით გადაფარვიათ ისტორიული კერა ეროვნულ მეცნიერებისა და მწიგნობრობისა!.. დიახ, მემკვიდრენი იოანე პირმშელისა, არსენ იყალთოელისა, გრიგოლ ბერისა, რომელთაც «აკადემიები“ დააარსეს საქართველოში, ისე გაშაუნებულან ყოველ მხრივ, რომ ვერ შესძლებიათ შეენახათ ექვსიოდე პირველ-დაწყებითი სკოლა! შთამომავლობა იმ ქართველებისა, რომლებიც მშობლიურ ენაზე კი ხულობდნენ პორფირის «ისაგოგიკას». დამასკინის „კატეგორიას», ან ლოგიკას, არისტოტელის სხვა და სხვა თხზულებას, დღეს ისე ჩამოქვეითებულან გონებრივად, რომ 63 გამოცემიდან 115 ცალიღა „ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიისა“ უყიდნიათ საკითხავად! გამქრალან საქართველოში საბბა სინგელნი, გიორგნი მთაწმინდელნი, ეფრემ მცირენი, რომელთაც შეჰქონდათ სხივი განათლებისა საქართველოში და დაუღალავის მეცადინეობით აარსებდნენ სკოლებს აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში და სხვაგან! აღარ არიან ისინიც, რომლებიც უხვად სწირავდნენ ფულს საქართველოში და ათონ-იერუსალიმში იმ მონასტრებს, რომლებიც იყვნენ უმთავრესი ცენტრნი ქართველთა განათლებისა... გაჰქრა ყველაფერი ეს; ბნელით მოიცვა ქართველთა ძველი ზნეობრივ-გონებრივი დიდება... დღეს ხელში შეგვრჩა მალით გადემოკრატებული გლეხობა, უსაქმო და ფუქსავატი თავად-აზნაურობა, ჩლუნგი, მოდუნებული და არარას შემძლე ინტელიგენცია, ინდიფერენტი და პურის მძებნელი სამღვდელოება. ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ საქართველოში ჩამქრალიყოს ეროვნული თვითცნობიერება, რომ ქართველები სამარცხვისო დაუდევრობას და მცუცუნობას იჩენდნენ ისეთ კულტურულ და საშვილიშვილო საქმეში, როგორც არის „წ. კ. საზოგადოება“, რომ ქართველებმა, საქართველოში, მოვკალით საუკეთესო მამულიშვილი—ჭირისუფალი საქართველოსი, სხივოსანი ილია...

დღეს ჩვენში, საუბედუროდ, სუყველაფერი უკუღმართად ხდება, არაფერს კალაპოტი არ ეტევა, არავის ბუნებრივ და ზნეობრივ კანონს არ ემორჩილება; ჩვენი სიმართლე შეძლებას ჰკარგავს; ჩვენში დღეს გათიშვა სიმართლისა და ჭეშმარიტების ერთადერთი პირველი მტაცებელია; ჩვენში მეფეა ძალლობას ეძებს, ვაჭარი—ჩარჩ-ბაცაცობას, ვექილი—მტყუანს მართლებს, ექიმი—ფასბაზობას, პედაგოგი—პოლიტიკანობას; ამასთან, სუყველას ერთად ჩვენთაგანს დაგვიჩლუნგებია ეროვნული თვით-ცნობიერება, გაგვქრობია ინტიმური მოძმეთა სამსახურისა, დაგვიკარგავს ეროვნული თავმოყვარეობა; არაფრად ვაგდებთ ჩვენი ენის გარყვნას, სამშობლო ლიტერატურის დაღარიბებას, სამშობლო ეკლესიის დამონავებას, ეროვნულ ხელოვნების სულის დაფვას, ჩვენ მშრომელ გლეხობის ეროვნულის მხრით სახიფათო გზაზე დადგომას. ყველას გაგვიდმერთებია პირადი ინტერესი, პირადი სარგებლობა, პირადი აუმღვრეველი ცხოვრება და ამისთვის სულ მოკლედ გავურბით საზოგადო საქმეს და წარმოუდგენელ გულგრილობას ვიჩენთ კულტურულ და საშვილიშვილო საქმეში. ვისაც კი ჩვენში აქტიურად მოქმედებს და ენერგიის ნიშან-წყალს იჩენს, ის ან მტაცებელი და ჯალათია ან და თავის ქადაგებით ხალხში მირს უთხრის ეროვნებას, ქართველობას და კოსმოპოლიტიზმისაკენ მიუხიდება ისედაც ისტორიულად დამცარებულ და გადაშენების გზაზე დამდგარ ქართველობას... ერთის სიტყვით, ჩვენს დაჩაგრულ სამშობლოს სწორედ „ბედი არ უწერია“. მაინც ვის უნდა მოეთხოვოს ეროვნულ საქმისადმი თუ არ ენერგიული სამსახური, ყურადღება, თანაგრძნობა მაინც? ჩვენის აზრით, ჩვენი ქვეყნის იმ ელემენტს, რომელიც იდეიურად მაინც უარს არა ჰყოფს სამშობლოს, რომელიც ხშირად ლაპარაკობს ქართველობაზე სამშობლოს სიყვარულზე, ქართულ ლიტერატურაზე, ქართველ ხალხზე და იმის ეროვნულად გათვითცნობიერებაზე. ვინ შეადგენს ამ ელემენტს? მომეტებული ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა (ექიმები, იურისტები, მასწავლებლები, ნაწილი სასულიერო წოდებისა, ზოგიერთი მოხელეები), თავად-აზნაურობა და შეგნებული ვაჭრობა. ნუ თუ ამ პირთ, თუ მართლა გული ეწვით სამშობლოზე, თუ კი მათ ნათლად შეგნებული აქვთ ეროვნული მოთხოვნილებანი, თუ კი ისინი წმინდის გრძნობით და სურვილით ეკიდებიან ეროვნულ საკითხებს,—ნუ თუ მათ იმდენი ენერგია და გულ-შემატკივრობა არ უნდა გამოიჩინონ, რომ წელიწადში ოციოდე მანეთი გაიმეტონ, რომ, სხვა სუყველაფერს თავი დავანებოთ, ერთად-ერთი ქართული კულტურული დაწესებულება, როგორიც არის „წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება“, რიგიანად შეინახონ, იმის საშვილიშვილო მოქმედებას ხელი შეუწყონ? ვის უნდა მოსთხოვოს დარბეულ და სახიფათო გზაზე დამდგარმა სამშობლომ თანაგრძნობა, ერთგული სამსახური და თავდადება, თუ არ იმ პირთ, რომლებიც ჯერ კიდევ ქართველებათ სთვლიან თავს, არ რცხვენიანთ ქართველობისა, უყვართ ქართული ისტორია და ლიტერატურა? აბა რა იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს იმ პირებისა, რომელნიც სამშობლოს სიყვარულს—შოვინიზმს უძახიან, სამშობლოსათვის მოღვაწეობას—რეტროგრადობას?..

რომ სამშობლომ იცოდეს, რომელ მის შვილს შესტკივა გული მის ბედნიერებასა და ბედ-იღბალზე, საჭიროა, ჩვენის აზრით, ასე მოეწყოს საქმე: უნდა მიენდოს ჩვენს დაბა-ქალაქებში ერთს ენერგიულ პირს, ან რამდენსამე პირთ აგენტობა, ე. ი. მიენდოს მათ „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წარმომადგენლობა. ამ პირმა წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ უნდა დანიშნოს იმ დაბა-ქალაქში, სადაც თითონ სცხოვრობს, ქართველ ინტელიგენტების, სამღვდელოების და ვაჭრების კრება სხვა და სხვა ეროვნულ საკითხების გადასაწყვეტად... ეს პირები მან უნდა მოიწვიოს კერძო ბარათებით. ყოველ კრების შემდეგ უნდა დაიბეჭდოს გაზეთებში სია იმ პირებისა, რომელნიც მოწვეულ იყვნენ ბარათებით; ცალკე იმ პირთა, რომელნიც დაესწრნენ კრებას; ცალკე იმ პირთა, რომელნიც ჩაეწერნენ დაწესებულების წევრებად და ხვედრი საწევრო ფული შემოიტანეს. ამნაირად, წლის განმავლობაში დაიბეჭდება სამჯერ-ოთხჯერ ანგარიშები ყველა დაბა-ქალაქში შემდგარ კრებებისა, საიდანაც მკითხველი საზოგადოება გაიგებს: რომელ დაბა-ქალაქში ვინ იჩენს საზოგადო საქმისადმი გულგრილობას, ვინ გაურბის ეროვნულ საქმეს, ვინ არ იმეტებს საშვილიშვილო საქმისათვის ათიოდე მანეთს... დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი დროგამოშვებით კრებები და კრების ანგარიშების დაბეჭდვა გამოგვიყვანს ინერტულ მდგომარეობიდან, ბევრს ჩვენგანს გაუღვიძებს და გაუცოცხლებს მიძინებულ გრძნობას სამშობლოსადმი სამსახურისა და მოვალეობისას, ბევრს ჩააგდებს სირცხვილში, ბევრს აღუძრავს თავმოყვარეობას და მოახდენს სხვებს არ ჩამორჩეს და ქვეყნის თვალში სამშობლოს ორგულად არ მოინათლოს...

ჩვენ, ქართველებს, ინტელიგენტები ვიყოთ, თუ გინდ უსწავლელნი, გვჭირდება ცოტაოდენი მოდერატობა, ზნეობრივი დეზები, რომ საზოგადო საქმისათვის თავი შევიწუხოთ, ცოტაოდენი წვლილი გავიღოთ ეროვნულ დაწესებულებათათვის, დროგამოშვებით მაინც გამოვიდეთ ეგოიზმის და პირადობის «ფუტლიარიდან»... თუ «წ. კ. გ. ს.» გამგეობა თვითონ გამოიჩენს ენერგიასა და ჩვენ მიერ საჩვენებ პროექტს დაუყონებლივ განახორციელებს, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ რიცხვი წევრებისა გაიზრდება, საწევრო ფული დროზე იქნება შემოტანილი,—მაშასადამე მიეცემა სახსარი არა თუ შეზღუდოს თვისი მოქმედება, არამედ შესამჩნევად გააცოცხლოს და გააფართოვოს იგი... შრომა და ენერგიაა, ბატონებო, საჭირო!

დროა ქართველმა ინტელიგენციამ ჰამლეტობას თავი დაანებოს და დონკიხოტობას მიჰყოს ხელი, ე. ი. დროა მან უკუაგდოს უნიადაგო ანალიზი, უსიცოცხლო და უნაყოფო რეფლექტიური მსჯელობა და აქტიურ, გამოცდილ მოქმედებას მიჰყოს ხელი.., რუდინები, ლავრეცკები, რაც გინდ განათლებულნი და ზნეობრივად სპეტაკნი იყვნენ ისინი, ვერ შესძლებენ ცხოვრების განახლებას, რისამე გაკეთებას, რადგან, ტურგენიევის სიტყვით, მათ ,,სისხლი არა აქვთ.'' ჩვენ ცხოვრებას ესაჭიროება ინსაროვები, სოლომინები,—პირნი შეურყეველის რწმენისა და დაუღალავის ენერგიისა...

**ივ. ვართაგავა.**

**რედაქციის შენიშვნა.** ვბეჭდავთ ბ. ვართაგავას წერილს უკლებლივ, თუმცა ყველაფერში ვერ ვეთანხმებით, ავტორს. უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ბ-ნ ვართაგავას უსაზღვრო პესიმიზმი; ვეთანხმებით რომ „წერა-კით. ხვის საზოგადოების“ საქმეების გამოსაბრუნებლად მანე მუშაობა საჭირო ქართველ ინტელიგენციის მხრივ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საზოგადოების საქმეთა გამოსაბრუნებლად ამაზე უფრო მეტი და არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ქართველ ხალხის დემოკრატიულ ელემენტების ჩარევას საზოგადოების საქმეებში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ქალ. სოლვიჩეგოდსკის პოლიტიკურ გადმოსახლებულთა კოლონიის საერთო კრების მიერ არჩეული საბიბლიოთეკო კომისსია მოგმართავთ თქვენ გულითადის თხოვნით, იკისროთ შემოწირულებათა მოკრება (ფულით გინა ნივთით, ხელმოაწერ ფურცლებით, წარმოდგენების და კონცერტების ორგანიზაციით და სხ.) თქვენ ნაცნობთა შორის ჩვენის საკოლონიო წიგნთსაცავის შესავსებად და გასაფართოვებლად. ყოველ შემოწირულებისათვის, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, დიდად დავალებულნი ვიქნებით. რიგიან წიგნის, ხშირად უპრალო სახელმძღვანელოს საჭიროება დიდია, საშუალება კი ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად არავითარი არ არის. ყოველ შემოწირულებას ზემო აღნიშნულ საგანზე განსაკუთრებითი ფასი ექნება სწორედ ახლა, როცა ასობით და ათასობით პოლიტიკური გადმოსახლებულნი, განსაკუთრებით მუშები და გლეხები, ადმინისტრატიულ-პოლიციურ ძლიერების ნებით რუსეთის სხვა და სხვა ქალაქსა და დაბაში არიან დაბნეულნი. თანამედროვე გადმოსახლებულთა საზოგადოებრივი ცხოვრება შესაძლებელია და უნდა გარდაიქცეს თავის საკუთარ წინააღმდეგობათ—სოციალ-პოლიტიკურ ინსტიტუტებად, რომლებმაც უნდა მოამზადონ ასობით და ათასობით რუსეთის ისტორიის ხვალინდელი დღის შეგნებული მოქმედნი. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ უდროობის პირობებში, რომელშიაც თქვენა სცხოვრობთ და მოქმედობთ, ჩვენ ვფიქრობთ, ვერ გააქრობდა თქვენში, ძვირფასო თანამოქალაქენო, რწმენას ძველ სულის შემხუთველ საზოგადოებრივ პირობების დანგრევაში და ახალ, თავისუფლებასა და თანასწორობის პრინციპებზე აგებულ ცხოვრების დამყარებაში და სურვილს, ამ დიდ ბრძოლაში რითიმე თქვენი წვლილიც შეიტანოთ

ფულის და ამანათების გამოსაგზავნი ადრესი:

**Г. Сольвычегодскъ** Вологодск. губ. Политическому ссыльному Исааку Виссаріоновичу **Чочія**,

Знаменская ул. д. Есиновой.

P. S. შემომწირველებმა უნდა იქონიონ სახეში, რომ აქ წიგნთსაცავით სარგებლობენ სხვა და სხვა ერიანების წარმომადგენლები.

საბიბლიოთეკო კომისიის წევრები. П. Дюшато, А. Благоволинъ, В. Пихей, ი. ჩოჩია, В. Дризо.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. მგალობლიშვილი.**

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ფ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ბაბანაშვილი** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აკოფიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. ბუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ბ. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—171)

მასწავლებელი

**ქალები**

იყვანენ მოწაფეებს მოსამზადებლად, ამეორებინებენ გაკვეთილებს როგორც სახლში, ისე თავიანთთან, აგრეთვე იყვანენ პანსიონერებად ან ნახევარ პანსიონერებად.

**ადრესი:** ავლაბარი, მარტყოფისა და ობსერვატორიის ქუჩების კუთხეში. დილის 8—2 საათამდის. (10—3)

**ბაღი და სანერგე ავსარქისოვისა.**

იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Скра. Ст. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—17)

**ამერიკულ ვაზის საქარის სანერგე**

აცხადებს, რომ სანერგე მასალის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ამა წლის 1 და 2 დეკემბერს დაბა ყვირილაში (ქუთაისის გუბ.). (3—6—3)

**გამოვიდა**

ახალი სრულიად შესწორებული და შემუშავებული

**ქართული წერა-კითხვის**

და

**სახატავი ნიმუშები**

**ს. დათეშიძისა.**

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში გ ბეჟანეიშვილის მაღაზიაში ფასი 20 კაპ. ვინც ავტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაუთმობა 10%.

ადრესი: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ დათეშიძეს. (10—3—10)

**აბანო**

ქუთაისის მაზრა, სოფ. ნაძვაში, ტყიბულის რკინის გზის პლატფორმიდან ოთხი ვერსის მანძილზე. სანაქებო გოგირდის წყლისა, ოთხი აუზით, რვა ოთახით თვისი მოწყობილობით იძლევა იჯარით **ხელსაყრელს ფასში,** შეიძლება გაყიდვაც. ადრესი: ქუთაისი კაზაკოვის ქუჩა, მახულიას სახლები, ვერა უგრეხელიძე. (წ.—6.—2)

**ქალაქ ფოთში**

ლაზარევის ქუჩაზე იყიდება 1000 მანეთად ადგილი, მიწა ზომით 260 ოთხკუთხ. საჟ. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება: ტფილისს სადგურზე, „до востребованія И. Т.“ (5—457—3)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

**ფერხული**

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფაღლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6—14)

ფოთის ქალაქის

**გამგეობა**

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 20 მომავალ დეკემბერს გაიცემა საჯარო ვაჭრობით ქალაქის ცხენით მავალი რკინის გზა (კონკა) ოთხის ვაგონით. ვაჭრობა დაიწყება 4,500 მანეთიდან. მოვაჭრემ უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დღეს ბეთ ხუთასი მანეთი და პირობის შეკვრის დღეს 0%. (6. 3—2)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქსოვს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—88)



**საპატრო სადღესასწაულოსთვის**

და საზოგადოდ, სადაც დიდი სინათლე საჭიროა, ვურჩევთ გაზის ლამპებს

**„ჩ უ დ ო“-ს**

(პატენტი კრენგელისა).

**ეს ლამპა ათასობით არის გავრცელებული**

ერთად-ერთი წარმომადგენელი

**კ. ბობილევი** ალექსანდრეს ბ-ღის პირდაპირ.

**ლამპები ქირითაც იძლევა**

(3—ხალ.—2)